ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ჩოხატაური წერეთლის ქ. №2

☎ 790 20-33-05
577 47-43-34

საკრებულოს თავმჯდომარის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №39

22 თებერვალი 2012 წ.

მუნიციპალიტეტის მიერ ინფრასტრუქტურით და სოფლის პროგრამით გათვალისწინებული და ასევე სხვა სახის სამუშაოების შესრულებისას დემონტაჟის შედეგად მიღებული ქონების აღრიცხვისა და მიღება–ჩაბარების მიზნით კომისიის შექმნის შესახებ

,,ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 43–ე მუხლის მე-3 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის საფუძველზე:

ვბრძანებ:

1. მუნიციპალიტეტის მიერ ინფრასტრუქტურით და სოფლის პროგრამით გათვალისწინებული და ასევე სხვა სახის სამუშაოების შესრულებისას დემონტაჟის შედეგად მიღებული ქონების აღრიცხვისა და მიღება–ჩაბარების მიზნით შეიქმნას კომისია შემდეგი შემადგენლობით:
   - გია გიორგაძე – მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელი – კომისიის თავმჯდომარე;
   - ტარიელ ჩხიკვაძე – მუნიციპალიტეტის გამგეობის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი – წევრი;
   - ვალერი ყაჭიშვილი – მუნიციპალიტეტის გამგეობის მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის სპეციალისტის მოვალეობის შემსრულებელი – წევრი;
   - ზაალ ბერძენიშვილი – მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკის, ინფრასტრუქტურის და საინვესტიციო გარემოს განვითარების სამსახურის სპეციალისტის მოვალეობის შემსრულებელი – წევრი;

- ტარიელ ბერაძე – მუნიციპალიტეტის გამგეობის ზედამხედველობის სამსახურის სპეციალისტი მშენებლობის საკითხებში – წევრი;
- პაატა ბერიშვილი – მუნიციპალიტეტის გამგეობის მუნიციპალური შესყიდვებისა და მატერიალურ – ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტის მოვალეობის შემსრულებელი სახელმწიფო შესყიდვების საკითხებში – წევრი;
- მალხაზი წიქორია – მუნიციპალიტეტის გამგეობის ზედამხედველობის სამსახურის სპეციალისტის მოვალეობის შემსრულებელი იერსახისა და დასუფთავების საკითხებში – წევრი;
- ზაზა ოსეფაიშვილი – მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო სამსახურის საბიუჯეტო განყოფილების სპეციალისტი – წევრი.

2. დაევალოს კომისიას, მუნიციპალიტეტის მიერ ინფრასტრუქტურით და სოფლის პროგრამით გათვალისწინებული და ასევე სხვა სახის სამუშაოების შესრულებისას დემონტაჟის შედეგად მიღებული ქონების აღწერა და მატერიალურ პასუხისმგებელ პირზე ჩაბარება.
3. ეთხოვოს ა.ი.პ. ,,სხივი“–ს დირექტორს (კახა ჯინჭარაძე) მატერიალური პასუხისმგებელი პირის შერჩევა და დემონტაჟის შედეგად მიღებული ქონების დასაწყობების უზრუნველყოფა.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს 1 თვის ვადაში ოზურგეთის რაიონულ სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში მისამართზე - ჭავჭავაძის ქ. №4
5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

ანტონ ხუნდაძე

ვიზირებულია,

იურისტი ედიშერ ჯიბუტი